რა აწუხებთ

მოსწავლეთა მშობლებს სკოლაში?!

მშობლები განათლებისთვის
PARENTS FOR EDUCATION

2018-2019 წელი

ანგარიში შედგენილია 219 60 80 - სატელეფონო ხაზზე შემოსული ზარების მიხედვით.

2018 წლის ნოემბრიდან მოსწავლეთა მშობლების დახმარების მიზნით მოქმედებს სატელეფონო კონსულტაციის ხაზი - 219 60 80. მომსახურება დანერგა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“, კოალიცია „განათლება ყველასათვის საქართველოს“ მხარდაჭერით და „გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის“ დაფინანსებით. სატელეფონო დახმარების ცენტრის მიზანია, დაეხმაროს მშობლებს ბავშვის ინტერესების დაცვაში და გაუადვილოს სკოლასთან ეფექტური კომუნიკაცია. ასევე, მოხდეს იმ პრობლემების განსაზღვრა, რაც მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ექმნებათ სკოლებში.

შესავალი

მოსწავლეთა მშობლების საკონსულტაციო სატელეფონო ცენტრი ფუნქციონირებს 2018-2019 სასწავლო წლიდან. მობილური ცენტრი მოქმედია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 11:00-18:00 საათებში.

ტელეფონის ნომერზე – 219 60 80 დარეკვის შემთხვევაში, მშობელი კონსულტაციას იღებს შემდეგ საკითხებზე:

📌 რა ვალდებულებები და უფლებები აქვს სკოლას, მასწავლებელს და მშობელს;

📌 როგორ ითანამშრომლოს მშობელმა სკოლასთან;

📌 რა გამოსავალი არსებობს მაშინ, როდესაც სახეზეა ბავშვზე ძალადობის პრობლემა და ვის ეხება მისი მოგვარება;

📌 როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, თუ სასწავლო პროცესის შინაარსი, მეთოდები და ფორმები ეწინააღმდეგება / არღვევს დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს;

📌 აქვს თუ არა მშობელს სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება;

📌 გასაჩივრების შიდა და გარე რა მექანიზმები არსებობს სკოლაში;

შემოსულ ზარებზე რეაგირების მექანიზმები

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის" შემოსულ ზარებზე ახდენს ორი ტიპის რეაგირებას.

- კონსულტირება;
- გადამისამართება შესაბამის უწყებებთან;

<u>შემაჯამებელი მიმოხილვა</u>

ქოლ-ცენტრის მუშაობის 10 თვეში სულ შემოსულია 312 ზარი, როგორც თბილისის, ისე რეგიონების სკოლებიდან. ასევე, კერძო და საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.

მშობლები ძირითადად კონსულტაციას იღებდნენ შემდეგ საკითხებზე:

📌 სკოლის, მასწავლებლისა და მშობლის უფლებები და ვალდებულებები

📌 მშობლისა და სკოლის თანამშრომლობა;

📌 ბავშვზე ძალადობის საკითხები და მათი მოგვარების გზები;

📌 სასწავლო პროცესის შინაარსი, მეთოდები და ფორმები;

📌 მშობლის როლი სკოლის მართვის საკითხებში;

📌 გასაჩივრების შიდა და გარე მექანიზმები;

გამოკვეთილი გარემოებები:

- *მშობლების 60%-მა ქოლცენტრს კონკრეტული პრობლემის დადგომის შემდეგ რეკომენდაციის მისაღებად მიმართა, მათ შორის, 5%-მა რეკომენდაციის მიღებისთვის სკოლაში მისვლამდე დარეკა და სკოლის თანამშრომლებთან შესახვედრად საგანგებოდ მოემზადა.*
- *მშობელთა 20% თავს არიდებებდა საუბრის გაგრძელებას როგორც კი ავტომოპასუხე ატყობინებდა ინფორმაციას საუბრის ჩაწერის შესახებ. მათი ნაწილი ცდილობდა პირად ნომრებზე დაკავშირებას ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან, იმის გამო, რომ თავი აერიდებინათ აუდიო ჩაწერისთვის.*
- *მშობელთა 10%-ს სურდა ანონიმურად დარჩენა, რადგან შიშობდნენ, თუ სკოლა შეიტყობს მათი აქტივობის შესახებ, ბავშვს დაჩაგრავენ;*
- *მშობელთა 20% დაგვიკავშირდა ისეთ საკითხზე, რომელიც საგამოძიებო ორგანოების ან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პრეროგატივაა. ასეთ შემთხვევებში მოხდა მათი გადამისამართება შესაბამის სამსახურებთან;*
- *მშობელთა 30% ქოლ ცენტრის შესახებ საინფორმაციო კამპანიის პარალელურად, პირადი მიმოწერის მეშვეობითაც ცდილობდა მიეღოთ რჩევები.*
- *მშობლების ნაწილმა ქოლცენტრი გამოიყენა ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან პირისპირ შეხვედრის დასაგეგმად, ორგანიზაციის საქმიანობის გასაცნობად, მათ შორის, მშობელთა ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.*

მშობელთა მიმართვიანობის ძირითადი მიზეზები
• **ჩაგვრის (ბულინგის) მრავალსახეობა და გამკლავების ეფექტიანი მექანიზმების უქონლობა სკოლებში; მშობლებს და სკოლას უჭირთ ჩაგვრის (ბულინგის) შემთხვევების ამოცნობა, რასაც ადასტურებს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშები.**
• **ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტები; მათ შორის, ბავშვთა მიმართ სიტყვიერი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა.** • ჭარბი საშინაო დავალებების უარყოფითი გავლენა მოსწავლეთა მოტივაციაზე. • **სკოლის თანამშრომელთა მხრიდან დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა მოსწავლეთა** შეფასებაში, **რაც გამოხატულია შეფასების კრიტერიუმების ბუნდოვანებით და ქულების სადასჯელო მიზნით გამოყენებით.**
• **ანტისანიტარია საკლასო ოთახებსა და საპირფარეშოებში. უსაფრთხოების ნორმების დარღვევა სველ წერტილებში; ჯანსაღ კვებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა სკოლებში.**
• **არასწორი კომუნიკაციით გამოწვეული დაპირისპირებები სკოლის თანამშრობლებსა და მშობლებს შორის: მშობლები და სკოლის თანამშრომლები ერთმანეთს ვერ აღიქვამენ პარტნიორად. მშობლებმა არ იციან თავიანთი უფლებები და** მოხალისეობრივი ჩართულობის შესაძლებლობები; **სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ საწინააღმდეგო აზრის მიმღებლობა და არ განიხილავენ მშობელს, როგორც მოკავშირეს.** მათი ურთიერთობა მიმდინარეობს სავალდებულო ფორმატში და შემოიფარგლება დამდგარ რისკებთან გამკლავებით, რა დროსაც მაღალია დაპირისპირების რისკი.
• **შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების პრობლემები, რომელსაც ვერც სკოლა და ვერც მშობლები ვერ უმკლავდებიან;**
• **კორუფცია და უთანასწორობა საჯარო სკოლაში; მასწავლებლების** ერთი ნაწილი თავისივე **მოსწავლეებს** სასკოლო სივრცეში ან სახლის პირობებში **დამატებით** ფასიან

გაკვეთილებს უტარებს. მშობლები ამბობენ, რომ ადგილი აქვს იძულების პირდაპირ და ირიბ გზებს, რომ მასთან მოამზადონ ბავშვი.
• **მოძველებული მეთოდებით სწავლების და მოსწავლეებისთვის უინტერესო გაკვეთილების პრობლემა; დიფერენცირებული სწავლების და ინდივიდუალური მიდგომის დეფიციტი; სადამრიგებლო პროგრამის გამოწვევები.**
• **მოსწავლეთა** რაოდენობა **კლასებში და საკლასო ოთახების სიმცირის გამო სკოლის რამდენიმე ცვლაში მუშაობა.**
• **მშობლებს შორის ფულის უკანონოდ შეგროვების შემთხვევები**, მათ შორის, **საკლასო ოთახების გარემონტებისთვის, ფარდებისთვის და სკოლის თანამშრომელთა საჩუქრებისთვის;**

შენიშვნა: თითოეული ზარი მოიცავს ინფორმაციას რამდენიმე საკითხის შესახებ. ზოგჯერ, როდესაც მშობელი დამდგარი პრობლემის შესახებ გვამცნობდა, მის უკან იკვეთებოდა სხვა საკითხები. ამიტომ ანგარიშში მოცემულ ძირითად პრობლემებს არ ახლავს წილობრივი მაჩვენებლები.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ საჭიროდ თვლის ტიპური ისტორიების გასაჯაროვებას, რომელიც ასახავს აქტუალურ პრობლემებს. ორგანიზაცია იცავს ბენეფიციარების კონფიდენციალობას, თუმცა განათლების სისტემაში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა საყურადღებოდ და საზოგადოებაში ჯანსაღი დისკუსიის დასაწყებად, სკოლების და მონაწილე პირთა დასახელების გარეშე ვასაჯაროვებთ ფაქტებს, რის შესახებაც მოსწავლეთა მშობლებმა გვაცნობეს. განვმარტავთ, რომ თითოეულ ფაქტზე არსებობს დაცული აუდიო ჩანაწერი.

ნამდვილი ამბები (2018-2019 სასწავლო წელი)

ამბავი N 01 მასწავლებელი მოსწავლეებზე რეგულარულად ძალადობს.

საჯარო სკოლა. ქალაქი თბილისი (ზარის ავტორია მე-7 და მე-10 კლასელი მოსწავლეების მშობელი). ბიოლოგიის მასწავლებელი ბავშვებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს. უხეშია, არ აქვს მოსწავლეებთან გამონახული საერთო ენა და გაკვეთილის განმავლობაში ხშირად იყენებს სიძულვილის ენას. ბავშვები არ სწავლობენ მის საგანს. მაგალითისთვის, მშობელი იხსენებს, რომ მასწავლებელმა 13 წლის გოგონას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „სხვაგან შეიკარი ეგ შენი

ძუნძგლიანი თმა“. იგივე მასწავლებელი ზარის ავტორის მეორე შვილს, მე-10 კლასელ ბიჭსაც ასწავლის და ხშირად აგდებს გაკვეთილიდან. მშობლის თქმით, ამის შესახებ საქმის კურსში არ არიან მანდატური, ადმინისტრაცია და დამრიგებელი. გარდა ამისა, მასწავლებელი შემაჯამებელ სამუშაოზე წინასწარ აკეთებს შეფასებას. კერძოდ, მოსწავლეებს მერხზე სუფთა ფურცელს უდებს, რომელზეც განმსაზღვრელი შეფასება/ქულა წინასწარ წერია. ბავშვები მშობლებთან ამ ინფორმაციას ადასტურებენ, თუმცა ხმამაღლა თქმის ეშინიათ. საქმეს ართულებს ისიც, რომ დირექცია არ რეაგირებს აღნიშნულ ფაქტებზე. მშობელი განმარტავს, რომ დირექტორის იმედი რომ ჰქონდეთ, მოსწავლეებს გაუადვილდებოდათ სიმართლის თქმა.

ამბავი N 02 „ურჩი“ მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანას შესახებ.

საჯარო სკოლა. ქალაქი თბილისი. (ზარის ავტორია მე-9 კლასელის მშობელი). მე-9 კლასის მოსწავლე მათემატიკის მასწავლებელმა კლასიდან გააძევა იმის გამო, რომ ის იცინოდა გაკვეთილზე. მესამე დღეა იძახის, რომ ამ ბავშვის ნერვები არ აქვს და მოსწავლეს გაკვეთილზე არ უშვებს. მშობელს ურეკავს დამრიგებელი, არ უხსნის საქმის ვითარებას დეტალურად და სასწრაფოდ იბარებს დირექტორთან. მშობლები მიდიან სკოლაში. კაბინეტში ხვდებათ დამრიგებელი და დირექტორი, რომელიც ითხოვს ბავშვის სხვა სკოლაში გადაყვანას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება გარიცხვით.

ამბავი N 03 მოსწავლის გარიყვა.

საჯარო სკოლა, ქალაქი თბილისი (ზარის ავტორია მე-3 კლასელის ბებია). ბებიის მონათხრობის მიხედვით, მისი მესამეკლასელი შვილთაშვილი გოგონა მუდმივად განიცდიდა ჩაგვრას მასწავლებლის, კლასელებისა და მათი მშობლების მხრიდან. ჩაგვრის საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ მშობლებისგან მიტოვებულ გოგონას ბებიას კონფლიქტი მოუვიდა ერთ-ერთ მშობელთან. ბებიის ცნობით, გოგონას თანაკლასელების მშობლები და მასწავლებლები მშობელთა კრებაზე საჯაროდ, ხოლო ზურგს უკან - ოჯახებში, შვილების გასაგონად განიხილავენ მის მდგომარეობას. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ცუდ ოჯახში აღზრდილი გოგონა, თავადაც გზას აცდენილი გაიზრდება. მშობლების დამოკიდებულება მოქმედებს ბავშვებზე და გოგონას მუდმივ რეჟიმში უხდება თავის დაცვა, როგორც თანაკლასელებისგან, ისე მათი უფროსი და-ძმებისგან, მშობლებისგან და მასწავლებლისგანაც კი.

ამბავი N 04 როცა რომელიმე მოსწავლე მოძალადეს თავს არ აჩაგვრინებს..

საჯარო სკოლა, ქალაქი თბილისი (ზარის ავტორია მე-3 კლასელის დედა). საქმე ეხება 8 წლის ბიჭს, რომელიც მესამე კლასში იმდენად გარიყული აღმოჩნდა, რომ მშობლებმა მისი სხვა

სკოლაში გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღეს. დედის მონათხრობის მიხედვით, მისი შვილის კლასში სწავლობდა ბავშვი, რომელიც გამუდმებით აყენებდა სხვა მოსწავლეებს ფიზიკურ შეურაცხყოფას. მისი შვილი 2 წლის განმავლობაში იტანდა თანაკლასელისგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, რაზეც მასწავლებელს რეაგირება არ ჰქონდა. მესამე სასწავლო წლის დაწყების შემდეგ, ზარის ავტორის შვილმა თავის დაცვა დაიწყო. კერძოდ, აღარ ითმენდა შეურაცხყოფას, დაცინვას და ჰქონდა შესაბამისი რეაგირება. მასწავლებელი ყოველთვის ამტყუნებდა მოსწავლეს, რომელიც თავს იცავდა. პედაგოგი სხვა ბავშვების მშობლებთანაც ამბობდა, რომ უჭირდა ამ ბავშვის მართვა, რადგან ის კლასში გაკვეთილის ჩატარების საშუალებას აღარ აძლევდა. ამან გამოიწვია სხვა მშობლების განაწყენება, ერთ მუშტად შეკვრა და ზარის ავტორთან დაპირისპირება. როგორც სკოლის შენობაში, ისე ქუჩაში ადგილი ჰქონდა მშობლების დაპირისპირებას. პარალელურად, ბავშვებმა შეიძულეს თანაკლასელი. საბოლოოდ, ბიჭი სხვა სკოლაში გადაიყვანეს, რადგან მას მთელი სასკოლო საზოგადოება დაუპირისპირდა. დედა ამბობს, რომ სკოლაში პრობლემა ექმნება ყველას, ვინც თავს არავის აჩაგვრინებს. სკოლისთვის პრობლემას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მათ სივრცეში არსებობენ მოძალადე და მსხვერპლი ბავშვები. პრობლემას ქმნის ის, თუ ვინმემ თავის დაცვა გადაწყვიტა და ამის გამო მუდმივი კონფლიქტი აქვს მოძალადესთან. ბავშს მიეკერა „გიჟის“ იარლიყი. დედა ამ დრომდე ცდილობს მიაღწიოს სამართალს, წერს განცხადებებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში და ითხოვს დადგეს ყოფილი მასწავლებლის, დირექტორისა და სასწავლო ნაწილის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ბავშვი გარიყეს, თუმცა უკვე თვეებია საქმე წინ არ მიიწევს.

ამბავი N 05 - „საშინაო დავალებებით ძალადობა - სწავლის სურვილისა და შესაძლებლობის მიზანმიმართული დასუსტება“

საჯარო სკოლა. ქალაქი თბილისი (ზარის ავტორი მე-8 კლასის ბებია). ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი არაგონივრული ზომის საშინაო დავალებას ატანს ბავშვებს. მაგალითად 25 ზმნა გასარჩევად, პლუს ლიტერატურის შინაარსი და ანალიზი. ბებია ამბობს: „საშუალოდ 8-9 საათიანი სამუშაო მოაქვს ბავშვს, ბავშვი თავს ვერ ართმევს, ამდენი სამეცადინო იწვევს აგრესიას, ეძინება რვეულზე. სხვა საგნების მეცადინეობას ვეღარ ახერხებს. გამოიკვეთა ერთი რამ, თუ გამოძახებული ბავშვი თავს ვერ გაართმევს დაფასთან დავალებას, მთელი კლასი ისჯება და სახლში გასაკეთებლად აძლევს დავალებას. იმ გოგონას მისცა 35 ზმნა, ხოლო დანარჩენ ბავშვებს 25-25. ძალიან განერვიულებული ვარ ამ საკითხის გამო. ამის შემდეგ მიდის ბავშვი სკოლაში, 16 გვერდი აქვს სავსე და მასწავლებელი ბავშვს იძულების გზით თავისი ხელით აწერინებს 2-იანს, და განმარტებას, „იმის გამო რომ დავალება სრულად არ მქონდა“. ეს მასწავლებელი არ ექვემდებარება არაფერს. ითხოვს, მარტო უნდა ისწავლონ ქართული, მარტო უნდა მოუნდე ქართულს და იმის იქით 6-7 საგანი აღარაფერია. არანაირი კომუნიკაცია მშობელთან არ აქვთ. თუ მიხვალ და რაიმეს იტყვი, კივიან, წივიან, ისე წამოხვალ სკოლიდან, შეურაცხყოფილი.“

ამბავი N 06 დირექტორისა და დამრიგებლის მხრიდან საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობა.

საჯარო სკოლა. ქალაქი თბილისი (ზარის ავტორი მე-12-ე კლასელის დედა). მოსწავლეებმა საახალწლო ღონისძიების ჩატარება გადაწყვიტეს, თუმცა დირექტორმა დარბაზის კარი ჩაუკეტა. მოტივი ის არის, რომ დირექტორი თავზე მდგომის გარეშე ვერ ანდობს 17 წლის მოსწავლეებს დარბაზს. დამრიგებელი თავს მოვალედ არ თვლის გაკვეთილების დასრულების შემდეგ ბავშვების მეთვალყურედ დარჩეს დარბაზში. მოსწავლეები ვერ ახერხებენ რეპეტიციების ჩატარებას. ამის გამო ყველა მათგანი ოჯახში გამოთქვამს უკმაყოფილებას. მათ დარდს მშობლებიც იზიარებენ. ერთ-ერთის დედა შემდეგნაირად ესარჩლება ბავშვებს: „ბავშვებმა იწვალეს, იშრომეს. არც დამრიგებელი და არც დირექტორი არ დაინტერესებულან, რას აკეთებენ ეს ბავშვები. სხვა მშობლებს ეშინიათ, რომ ნიშანი არ დააკლონ მათ შვილებს, ანგარიშს უწევენ რას იტყვის მასწავლებელი, დირექტორი და ხმას არ იღებენ. ასე ბავშვებს შემოქმედებითი საქმიანობის მოტივაცია ეკარგებათ და ამაზე არავინ ფიქრობს. აკრძალვის ფორმასაც ხომ გააჩნია. დარაჯმა გაყარა დარბაზიდან ბავშვები. დირექტომა კი წივილ-კივილით კარი მოუხურა ცხვირწინ.“.

ამბავი N 07 კორუფცია სკოლაში

საჯარო სკოლა. ფოთის მუნიციპალიტეტი (ზარის ავტორი - მშობელი). მშობლის ინფორმაციით, მათემატიკის მასწავლებელს შემაჯამებელ სამუშაოზე შეაქვს ისეთი საკითხები, რაც მოსწავლეებს საგაკვეთილო საათების ფარგლებში არ უსწავლიათ. წერას თავს ართმევენ მხოლოდ ის ბავშვები, ვინც მასწავლებელთან ემზადებიან. სიტუაცია ფასდება ისე, რომ მას აქვს შერჩევითი პოლიტიკა და სწყალობს მხოლოდ იმ ბავშვებს, ვინც მასთან კერძოდ ემზადება. მშობელი ამბობს: „სახლში აქვს მოწყობილი ფართი საკლასო ოთახად და 15-მდე ბავშვს ერთად უტარებს კერძო გაკვეთილებს, რისთვისაც მშობლებისგან იღებს გასამრჯელოს.“ მშობელმა საქმის კურსში ჩააყენა სკოლის ადმინისტრაცია, თუმცა სკოლამ მოსწავლეების ინტერესების დასაცავად ქმედითი ნაბიჯები არ გადადგა.

ამბავი N 08 კორუფცია და უთანასწორობა საჯარო სკოლაში

საჯარო სკოლა. ქალაქი თბილისი (ზარის ავტორი - საბაზო საფეხურის მოსწავლეების მშობელი). სკოლაში არიან მასწავლებლები, რომლებიც გაკვეთილების შემდეგ ტოვებენ ბავშვებს და ამეცადინებენ დამატებით, რაც არის ფასიანი მომსახურება. ვინც ემზადება მათთან, კარგ ნიშნებს იღებენ და მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ. ვისაც ამის შესაძლებლობა არ აქვს, იჩაგრებიან. მშობელი ამბობს: „მაგალითად, ვინც მასთან ემზადება მასწავლებელი წინასწარ ეუბნება, რა უნდა წერონ საკონტროლოში და ა.შ. შემდეგ ის ბავშვები მაღალ ქულებს იღებენ და ეს კლასში დაპირისპირების საგანია. იყო შემთხვევა, რომ ერთ-ერთმა დედამ ვეღარ შეძლო გადასახადის გადახდა, გამოიყვანა ბავშვი და მასწავლებელი ისევე გადაეკიდა მას, როგორც მანამდე ეპყრობოდა, ვიდრე მომზადებას დაიწყებდა“. მშობელი ამბობს, რომ ერიდება ღიად დაპირისპირებას, რადგან შიშობს რომ მისი შვილები უფროსების მხრიდან ძალადობის

მსხვერპლნი გახდებიან, მას კი როგორც დედას, არც ფინანსური და არც ფიზიკური შესაძლებლობები არ აქვს, დაიცვას შვილები.

ამბავი N 09 „არაპროფესიონალიზმი, როგორც კონფლიქტისა და ზიანის წყარო“

კერძო სკოლა. ქალაქი თბილისი (ზარის ავტორი - საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობელი). 9 წელია, რაც აღნიშნულ სკოლასთან ურთიერთობს, დაყავს 2 ბავშვი: უფროსი მე-12 კლასშია (მშობელი აღნიშნავს, რომ უმაღლესი აკადემიური მოსწრება აქვს და ზედმიწევნით იცავს სასკოლო დისციპლინას), უმცროსი კი მე-9 კლასში. პრობლემები გაჩნდა უმცროს შვილთან. მასწავლებელი არ მიმართავს ბავშვთან ურთიერთობის კონსტრუქციულ გზებს, აქვთ მუდმივი კონფლიქტი. მშობელმა შვილთან აღმზრდელობითი საუბრების შემდეგ მასწავლებელსაც სთხოვა, ბავშვთან უფრო რბილი მიდგომით მოეხერხებინა პრობლემის მოგვარება, რადგან ზოგადად და სხვა შემთხვევებში, სხვა სიტუაციებში, არ არის ბავშვი ისეთი უხეში, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ასევე მოითხოვა, რომ მისი შვილის პრობლემები არ განეხილა საჯაროდ მშობელთა კრებებზე. მშობლის ამ მოთხოვნამ გააღიზიანა მასწავლებელი და დირექცია, რასაც მოჰყვა სკოლის მხრიდან მშობლების არაერთჯერადი შეურაცხყოფა. საბოლოოდ სიტუაცია ისე გამწვავდა, რომ მშობელს მოსთხოვეს ორივე შვილი გაეყვანა სკოლიდან, პირადი განცხადების საფუძველზე. კონფლიქტს ემსხვერპლა უფროსი შვილიც. უსამართლობას ბავშვები და მათი მშობლები მძიმედ განიცდიან. მძიმე ფსიქოლოგიური ფონის გამო მათ სურვილი არ აქვთ საჩივრით მიმართონ სასამართლოს ან ავტორიზაციის საბჭოს.

ამბავი N 10 ანტისანიტარია სკოლებში

საჯარო სკოლა. ქალაქი თბილისი (მე-3 კლასელი მოსწავლის მშობელი). მშობელი ამბობს, რომ საკლასო ოთახი სველი წესით თვეობით არ ლაგდება. ბავშვებს განათლების მიღება ანტისანიტარიაში უწევთ. მისი ინფორმაციით, სკოლაში 700 ბავშვი და 3 დამლაგებელია. მათი ძირითადი საქმიანობა დერეფნების და სველი წერტილების მეტ ნაკლები დასუფთავებით შემოიფარგლება. საკლასო ოთახებში თითქმის არასდროს შედიან. კანონის თანახმად, სკოლის ადმინისტრაცია მშობლებს ფულის აგროვებას უკრძალავს, თუმცა ვერც თავად ართმევს თავს სკოლაში ჰიგიენის დაცვას. მოსწავლეები და მათი მშობლები გამოუვალ მდგომარეობაში არიან.

ამბავი N 11 ანტისანიტარია და უსაფრთხოების დარღვეული ნორმები სკოლის საპირფარეშოებში

საჯარო სკოლა, ქალაქი თბილისი (ზარის ავტორია დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ბებია). მთელ სკოლაში საპირფარეშოს სუნი დგას. სკოლიდან ბავშვის გამოყვანის დროს, რეგულარულად, დერეფნები და საკლასო ოთახები ყარს. სუნი იმდენად გაუსაძლისია, რომ გაკვეთილების დასრულების მოლოდინშიც კი ბავშვების მომლოდინე მშობლები დერეფანში ვერ ჩერდებიან და ეზოში ელოდებიან შვილებს. მშობლებმა დირექტორთან შესვლა გადაწყვიტეს, რის შესახებაც კლასის დამრიგებელმა გაიგო და შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ. „ჩემი კლასის მშობლები არ შეხვიდეთ“. ბებია იხსენებს „წარმოგიდგენიათ, იმ საშინელი

სუნის გასაპროტესტებლად, მასწავლებლის თხოვნის გამო, მხოლოდ სამი მშობელი შევედით დირექტორთან. გვეუბნებიან სკოლა გასარემონტებელია, 900 ბავშვია და როგორ გავაკონტროლოთო. პირობა და იმედიც კი არ მომცეს რომ გამოსწორდება მდოგმარეობა. ბავშვმა ორჯერ სკოლაში აღებინა, 3 - ჯერ მძიმე გულისრევის შეგრძნებით წამოვიყვანე. ყოველ დღე დილიდან ბავშვი სკოლაშია, ფანჯრები დახურულია. ტუალეტში კი არ დგას მხოლოდ სუნი, დერეფნებშიც, კლასები ყარს უკვე. თანახმა ვართ ვიმორიგეოთ მშობლებმა, დავეხმაროთ, ვასწავლოთ ამ ბავშვებს, მაგრამ ჩვენს გარდა ეს არავის აწუხებს. მუცელს იტკიებენ სხვა ბავშვებიც, გულის რევის შეგრძნება აქვთ, მაგრამ დედები ამას სერიზულად არ აღიქვამენ. ჯალათებივით გამოვდივართ ეს მშობლები, იძულებით მიგვყავს ბავშვები ისეთ გარემოში, სადაც მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.“

ამბავი N 12 კერძო სკოლა უარს აცხადებდა დიაბეტით დაავადებული ბავშვის მიღებაზე

კერძო სკოლა, ქალაქი თბილისი (ზარის ავტორი სასკოლო ასაკის ბავშვის მშობელი). კერძო სკოლა უარს ეუბნებოდა მშობელს დიაბეტით დაავადებული ბავშვის პირველ კლასში მიღებაზე. იმის შემდეგ, რაც მშობელმა გააპროტესტა მათი უარი, სკოლამ მიიწვია ის ამ თემასთან დაკავშირებით სასაუბროდ. საუბრის დროს მშობელმა აღნიშნა, რომ მისი უფროსი შვილი ამ სკოლაში დადიოდა და ამიტომ იყო მნიშვნელოვანი, უმცროსი შვილის იქ ტარებაც. მშობელმა დახმარება აღუქთვა სკოლას, კერძოდ სკოლაში დასაქმებული ექთნის კვალიფიკაციის ამაღლებაში დახმარებით. მიუხედავად ამისა, დიდი ძალიასხმევა დასჭირდა, რომ ბავშვი სკოლაში მიეღოთ.

ამბავი N 13 არატიპური განვითარების ბავშვის ყოფა სკოლაში.

საჯარო სკოლა. ქალაქი თბილისი (მეოთხე კლასელი მოსწავლის დედა). ბიჭს აქვს ყურადღების დეფიციტი. ჰიპერაქტიურია. დადგენილი აქვს განვითარების შეფერხების საშუალო ხარისხი. მშობელს დაჰყავს რეაბილიტაციის ცენტრში თერაპიაზე. როგორც ამბობს, კარგი შედეგები აქვს. ფსიქოლოგი ჰპირდება, რომ წლის ბოლომდე განვითარებით დაეწევა ტიპურ ბავშვებს. თუმცა, სკოლაში მასწავლებელი ბავშვს არაჰუმანურად ექცევა. აყენებს კუთხეში, სჯის მკაცრად. მშობლის საჩივარზე პასუხად, სკოლა მას სპეც. მასწავლებელს სთავაზობს. სტერეოტიპების შიშით მშობელს სპეც. მასწავლებელი არ სურს. ამბობს, რომ მასწავლებელმა დახმარების უბრალოდ კეთილი ნება რომ გამოხატოს, ადვილად მიაღწევენ შედეგს, რადგან ბავშვი თერაპიაზე დაჰყავს და მის შვილს სკოლაში ინდივიდუალური პროგრამა არ სჭირდება.

ამბავი N 14 ინფრასტრუქტურული პრობლემები სკოლაში და კომუნიკაციის სირთულეები მშობელსა და დირექტორს შორის.

საჯარო სკოლა. ქალაქი თბილისი (მეხუთე კლასელი მოსწავლის დედა). მე-5 კლასის მოსწავლეები სხედან სკოლის მე-4 სართულის გადატიხრულ დერეფანში, სადაც არ არის

დაცული უსაფრთხოების ზომები. მშობელმა მიმართა დირექტორს კითხვით, როდემდე აპირებდა ბავშვების ასეთ ,,საკლასო ოთახში გაჩერებას, რაზეც მიიღო ხისტი პასუხი, რომ 7 წელი არ აპირებდა ბავშვებისთვის ოთახის შეცვლას. გარდა ამისა, დირექტორის პოლიტიკის გამო (მაგ.: ფულის აგროვება რემონტისთვის) და სხვა დარღვევებზე მშობლის პროტესტის გამო მშობელს და დირექტორს ჩამოუყალიბდათ წარმოიშვა კონფლიქტი. მშობელმა მიმართა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცხელ ხაზზე, თუმცა ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. მან ასევე მიმართა სახალხო დამცველის აპარატს და განათლების თემაზე მომუშავე მედია ორგანიზაციას, თუმცა სამსახურის დაკარგვის შიშის გამო ვერ შეძლო საქმის ბოლომდე მიყვანა.

ამბავი N 15 დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა მოსწავლეთა შეფასებაში.

საჯარო სკოლა. ქალაქი თბილისი (მეშვიდე კლასელი მოსწავლის დედა). მშობელი წუხს, რომ მასწავლებელი მე-7 კლასელ მოსწავლეებს ქულებს უწერს ურთიერთშეფასების საფუძველზე, ისე, რომ არ აქვს განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები. ამის გამო თანაკლასელებს აქვთ შუღლი. როგორც მშობელი ამბობს, მასწავლებლის მხრიდან ამ შეფასების მიზანი და არგუმენტი არის ის, რომ აიცილოს პასუხისმგებლობა. „ამას აკეთებს იმიტომ, რომ მერე პრეტენზია არ ჰქონდეთ ბავშვებს, რომ მასწავლებელი აკლებს ნიშანს. ამბობს, რომ თვითონ მოსწავლეებს უფრო ობიექტურად შეუძლიათ შეაფასონ ერთმანეთი“ - ამბობს მშობელი.

ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:	
სკოლის დირექტორებს:	• მშობელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, სკოლის ფარგლებში შეიმუშაონ მშობელთა ჩართულობის სტრატეგია. • ყურადღება გაამახვილონ მშობლებთან უკუკავშირზე, მათთან პირდაპირ კომუნიკაციაზე. • ყურადღება გაამახვილონ კლასში არსებულ გამოწვევებთან სადამრიგებლო პროგრამების შინაარსის შესაბამისობაზე; და მონიტორინგი გაუწიონ სადამრიგებლო პროგრამების განხორციელებას. • იზრუნონ მასწავლებლების გადამზადებაზე მშობლებთან კომუნიკაციის საკითხებში.

	• იზრუნონ ცალკეული პრობლემებური საკითხების მიმართ სასკოლო საზოგადოების მგრძნობელობის გაზრდაზე, მათ შორის, ძალადობაზე, ჯანსაღ კვებაზე. • აღმოფხვრან ანტისანიტარია და უზრუნველყონ სკოლების მოვლა-პატრონობა კანონის ფარგლებში განსაზღვრული წესებით. • წაახალისონ პედაგოგები, რომლებიც სწავლების თანამედროვე მეთოდებს შედეგიანად იყენებენ; ხელი შეუწყონ სხვა თანამშრომლებს ამ მიმართულებით წარმატებულ მუშაობაში. • აკონტროლონ სკოლაში კორუფციის რისკები და აღკვეთონ მსგავსი ფაქტები. • დაიცვან სკოლის დირექტორის პროფესიული ეთიკის კოდექსი.
მასწავლებლებს:	• რეგულარულად ითანამშრომლონ მოსწავლეთა მშობლებთან. • წაახალისონ აქტიური მშობლები. • გაეცნონ მშობელთა ჩართულობის კარგ პრაქტიკებს. • ნუ შეუშლიან ხელს მშობელს სკოლის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციაში. • გამოიყენონ სწავლების თანამედროვე მეთოდები, ასევე, **დიფერენცირებული სწავლების და ინდივიდუალური მიდგომის მეთოდები**. • დაიცვან მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი.
განათლების სამინისტროს:	• შეიმუშაოს სტრატეგია მოსწავლეთა მშობლების ცნობიერების ამაღლებისთვის, სკოლებში პოზიტიური ჩართულობის საკითხებში. • დანერგოს მშობელთა საჩივრებზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები.
კლასის დამრიგებლებს:	• იმუშაოს მოსწავლეებთან ჯანსაღი ცხოვრების წესის და მოქალაქეობრივი თვითშეგნების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე. • ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მიერ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გააზრებას და მათთან ერთად მონახოს პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები; • დაამკვიდროს მშობლებთან პოზიტიური მუშაობის კულტურა და გამოიყენოს მათი ძალისხმევა თანამშრომლობის გასააქტიურებლად;

ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი სამუშაოები

1. არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ აგრძელებს მშობლების პირისპირ კონსულტირებას, ასევე, იწყებს ჯგუფურ დისკუსიებს მშობლებთან, დაინტერესებულ მასწავლებლებთან და სკოლის დირექტორებთან ერთად, რათა ანგარიშში ასახული აქტუალური პრობლემები აქციოს კვლევის და განსჯის საგნად.

2. რეაგირებისთვის და პრობლემებზე ყურადღების გასამახვილებლად ანგარიში გაეგზავნება განათლების სახელმწიფო პოლიტიკის მესვეურებს, საჯარო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მათ შორის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს; საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს; სამინისტროს რაიონულ რესურსცენტრებს; საჯარო და კერძო სკოლებს; სახალხო დამცველის აპარატს. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნულ ცენტრს; გაეროს ბავშვთა ფონდის მისიას საქართველოში.

   „მშობლები განათლებისთვის” მზადყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს ყველა უწყებასთან, რომელიც პასუხისმგებელია განათლების პოლიტიკაზე საქართველოში და წარმოადგენდეს მშობლების ხმას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3. გამოკვეთილი პრობლემების პასუხად „მშობლები განათლებისთვის” შეიმუშავებს საწვრთნელ პროგრამას, რომელიც შეეხება აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის გზებს, მშობლებსა და სკოლებს დაეხმარება სასკოლო სიტუაციების ბავშვის სასარგებლოდ გადაწყვეტაში. პროგრამის შესახებ გამოცხადდება საჯაროდ და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის.